WorldSkills Georgia

2012 წლის ივნისი - 2013 ნოემბერი

WorldSkills Georgia არის WorldSkills International-ის ასოცირებული წევრი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში WorldSkills Georgia-მ ოფიციალური დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო EuroSkills-ის პროფესიული უნარების შეჯიბრში ბელგიის ქალაქ სპაში, თავად გამართა ეროვნული შეჯიბრი თბილისში და ასოცირებული წევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო WorldSkills International-ის პროფესიული უნარების შეჯიბრში გერმანიის ქალაქ ლაიფციგში.

მოკლედ WorldSkills International-ის და საერთაშორისო შეჯიბრის შესახებ

WorldSkills International-ი არის არამომგებიანი, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია. მისი მისიაა ხელი შეუწყოს მსოფლიოში პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების მაღალი სტანდარტების განვითარებას და ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ორგანიზაცია დაარსდა 1950 წელს, ესპანეთში. ამჟამად მასში გაწევრიანებულია 67 ქვეყანა. WorldSkills International-ი წარმოადგენს იდეალურ ქსელურ რესურსს წევრი ქვეყნების/ორგანიზაციებისთვის, რომლებიც პროფესიული განათლების განვითარებას ემსახურებიან. WorldSkills International-ი წარმატებით იყენებს ვებ და პროგრამულ ტექნოლოგიებს, რომ წევრი ორგანიზაციების და ფართო აუდიტორისთვის იოლად ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია პროფესიული სტანდარტების, კონკურსების თუ სპეციალისტებისათვის გამართული სადისკუსიო ფორუმების შესახებ. იხილეთ ვებგვერდი http://www.worldskills.org.

WorldSkills-ის ფართომასშტაბიანი შეჯიბრი პროფესიულ უნარებში ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, რომელიმე წევრ ქვეყანაში. კონკურსი მიმდინარეობს ოთხი დღის განმავლობაში. მონაწილეთა ასაკი შეზღუდულია - 23 წლამდე. WorldSkills International-ის კონკურსში მონაწილეობას იღებენ კონკურსანტები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ეროვნული კონკურსში გაიმარჯვებენ. მათ მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ მონაწილობის მიღება. მონაწილეებს აკვირდებიან და აფასებენ სფეროს ექსპერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. კონკურსს თან ახლავს გამოფენა, სადაც ქვეყნები თავიანთი პროფესიული განათლების შესახებ სხვადასხვა ტიპის მასალას ავრცელებენ (ბუკლეტები, ბროშურები, წიგნები, პრეზენტაციები, დისკები, შემეცნებით-გასართობი თამაშები). შეჯიბრი-გამოფენა სავსეა დამთვალიერებლებით, აღსანიშნავია სკოლის მოსწავლეთა (ასაკი 6-12 წელი) აქტიურობა და დაინტერესება პროფესიული განათლებით.

WorldSkills Georgia

WorldSkills Georgia არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტი, რომელიც გერმანიის მთავრობის მხარდაჭერითა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა/ ხორციელდება.

WorldSkills Georgia-ს ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს GIZ-ის წარმომადგენლებმა მიქაელა ოპერმან გერტნერმა, ბრანკო ვენერტმა, კრისტოფ ბერლიხმა, ფალკოქრისტიანმა, ირაკლი შურღულაიამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ექსპერტის დენი გაუხის წვლილი.



WorldSkills International-ში WorldSkills Georgia, 2012 წელს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით გაწევრიანდა ასოცირებული წევრის სტატუსით.

პროექტი Worldskills Georgia შედგა, შეირჩნენ ოფიციალური (მარინა ჟვანია) და ტექნიკური დელეგატები (უტა ბაიერი). ასევე, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით შეირჩა სამი პროფესია (ვებდიზაინი, სამზარეულო საქმე და შედუღება), რომლის ახალგაზრდა წარმომადგენლები საერთაშორისო შეჯიბრში მიიღებდნენ მონაწილეობას.

მომდევნო ეტაპზე გამოცხადდა ექსპერტთა შესარჩევი კონკურსი დასახელებულ პროფესიებზე. კონკურსში გამოვლინდნენ გამარჯვებულები: სერგო კარაკოზოვი (ვებდიზაინერი), როდამ ხიდეშელი (მზარეული), ლუკა ჭყონია (შემდუღებელი).

2012 წლის 11 სექტემბერს Worldskills Georgia-ს ექსპერტებს ჩაუტარდათ ტრენინგი, გადაეცათ Worldskills International-ის „ექსპერტის გზამკვლევი“ და განემარტათ კონკურისის წესები და მათი მოვალეობები.

გაიწერა WorldSkills Georgia-ს შესასრულებელი სამუშაოები:

1. ბელგიის ქალაქსპაში, Euroskills-ის ფარგლებში ორგანიზებულ, SkillsEurope 2012, რიგით მესამე შეჯიბრზე ოფიციალური დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის მიღება გამოცდილების შეძენის მიზნით;

2. კონფერენციის ორგანიზება თემაზე „WorldSkills Georgia - ხარისხიანი პროფესიული განათლებისათვის" საზოგადოების ინფორმირების და სპონსორთა მოზიდვის მიზნით და ეროვნული შეჯიბრის ჩატარების ვადების გამოცხადება;

3. WorldSkills International-ის რიგით 42-ე შეჯიბრის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობა

4. ეროვნული შეჯიბრის ჩატარება შერჩეულ სამ პროფესიაში.

5. გერმანიის ქალაქ ლაიფციგში 4 - 7 ივლისს დაგეგმილ რიგით 42-ე საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად მომზადება;

6. Worldskills International-ის რიგით 42-ე პროფესიული უნარების შეჯიბრში მონაწილეობა ასოცირებული წევრის სტატუსით;

7. პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერა.



SkillsEurope 2012, რიგით მესამე შეჯიბრი, სპა, ბელგია
2 ოქტომბერი - 8 ოქტომბერი

ღონისძიების პროგრამა შეადგინა საერთაშორისო ექსპერტმა დენი გაუხმა. მანვე გაუწია მეგზურობა WorldSkills Georgia-ს გუნდს.

სპაში გატარებული ყოველი დღე აღსავსე იყო შთაბეჭდილებებით. WorldSkills Georgia-ს გუნდს დაწვრილებით განემარტათ თითოეული წევრის როლი და ამოცანა. განიმარტა დაწერილი და დაუწერელი წესები.

თითოეული წევრი მისი როლიდან და ამოცანიდან გამომდინარე აქტიურად აკვირდებოდა შეჯიბრის მსვლელობას.

ოფიციალური და ტექნიკური დელეგატები შეხვდენენ WorldSkills International-ის დირექტორთა საბჭოს და პრეზიდენტს. გენერალურ ანსამბლეაზე ოფიციალურად გაკეთდა განცხადება WorldSkills Georgia-ს საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ და აღინიშნა, რომ დამადასტურებელი სერტიფიკატი საქართველოს WorldSkills International-ის 42-ე კონკურსზე, ლაიფციგში გადაეცემოდა.

სპაში დაიგეგმა WorldSkills Georgia-ს ეროვნული კონკურსი - რესურსებისა და ვადების მითითებით. გუნდის წევრები სპადან შთაბეჭდილებებით და სამომავლო იდეებით აღსავსე დაბრუნდნენ.

worldskills GEORGIA

2012 წლის 11 დეკემბერს „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე „WorldSkills Georgia - ხარისხიანი პროფესიული განათლებისათვის“, რომლის მიზანი საქართველოში პროფესიული განათლების განვითარების, ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობა იყო. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული კავშირებისა და ასოციაციების და კერძო ბიზნესის წარმომადგენლები.

ღონისძიების ორგანიზატორებმა WorldSkills-ის შეჯიბრის შესახებ დეტალურად ისაუბრეს და ბიზნესის წარმომადგენლებს WorldSkills Georgia-ს სპონსორობისკენ მოუწოდეს და საინტერესო სასპონსორო წინადადებები შესთავაზეს.

შეხვედრაზე სამივე პროფესიის ექსპერტებმა გამოცდილების გაზიარების მიზნით წარმოადგინეს პრეზენტაციები ბელგიის ქალაქ სპაში, Euroskills-ის შეჯიბრის მიმდინარეობის, მისი წესებისა და პირობების შესახებ.

მზადება ეროვნული კონკურსისთვის

2013 წლის იანვრიდან Worldskills Georgia-ს გუნდმა ეროვნული შეჯიბრის ორგანიზებისთვის მზადება დაიწყო. დასახელდა ეროვნული შეჯიბრის ჩატარების თარიღი - 16-17 თებერვალი და ადგილი: პროფესიული კოლეჯი „სპექტრი“ (ვებდიზიანი, შედუღება) და პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“ (სამზარეულო საქმე). ერთ სივრცეში სამივე პროფესიისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოძიება ვერ მოხერხდა.

კონკურსის ჩატარება მიზნად ისახავდა პერსპექტიული და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდების გამოვლენას, რომლებსაც Worldskills-ის რიგით 42-ე საერთაშორისო კონკურსზე ასპარეზობისთვის Worldskills Georgia-ს ექსპერტები მოამზადებდნენ.

2012 წლის 15 დეკემბრიდან 2013 წლის 15 იანვრის ჩათვლით დაინტერესებულ პირებს თავიანთი რეზიუმე უნდა გამოეგზავნათ მითითებულ მისამართებზე.

შეჯიბრი შედგებოდა ორი ეტაპისაგან:

I ეტაპი - შემოსული სააპლიკაციო ფორმების განხილვა. მხოლოდ წარმატებული კანდიდატები გადავიდნენ შეჯიბრის მეორე ეტაპზე;

II ეტაპი - შეჯიბრი სააპლიკაციო ფორმების განხილვის შედეგად შერჩეულ კანდიდატებს შორის.

15 თებერვალს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით „დიდუბე პლაზას“ საკონფერენციო დარბაზში ოფიციალურად გაიხსნა პროექტ World-Skills Georgia-ს ეროვნული შეჯიბრი. ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კერძო და საჯარო სტრუქტურებისა და ასოციაციებისა და პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგნელები და მოწვეული სტუმრები.



16-17 თებერვალს 9 საათზე პროფესიულ კოლეჯებში „სპექტრი“ და „იკაროსი“ ერთდროულად დაიწყო შეჯიბრი. ეს იყო ემოციებით და მოლოდინით აღსავსე ორი დღე. 23 წლამდე ასაკის მონდომებული ნიჭიერი ახალგაზრდები ერთმანეთს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებაში ეჯიბრებოდნენ.

შეჯიბრზე მოწვეულნი იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმოამდგენლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა დაინტერესებული პირები.

ეროვნული შეჯიბრის სტატისტიკა

ეროვნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 31 კანდიდატმა: მზარეული - 16 მონაწილე, ვებდიზაინერი - 11 მონაწილე, და შემდუღებელი - 4 მონაწილე;

შეჯიბრის დაწყებამდე ექსპერტები რამდენჯერმე შეხვდნენ მონაწილებს და წესები და პირობები დეტალურად გააცნეს. ეროვნულ შეჯიბრზე მიცემული დავალება Euroskills-ის შეჯიბრის იდენტური იყო.

კვალიფიციური კადრებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ საუკეთესო კანდიდატები გამოავლინა. ყველა მონაწილეს გადაეცა კონკურსში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საპრიზო ადგილზე გასულ მონაწილეებს მედლები და თასები კონკურსის ოფიციალური დახურვის ცერემონიაზე საზეიმოდ გადაეცათ, რომელიც 17 თებერვალს, 21 საათზე კლუბ „ტრიუმფში“ გაიმართა.

საპრიზო ადგილები დაიკავეს:

მზარეული: I ადგილი - თინათინ იორდანიშვილი, II ადგილი - გიორგი დუმბაძე; III ადგილი - ნინო მჭედლიშვილი.

შემდუღებელი: I ადგილი - ევგენი მოროზოვი, II ადგილი - მალხაზ ფიფჩიური, III ადგილი - კობა ბათნიძე.

ვებდიზაინერი: ამ პროფესიაში მოასპარეზე შეჯიბრის მონაწილეებს შორის 100%-ით იდენტური ქულები დააგროვა ორმა მონაწილემ, შესაბამისად, ორი ვებდიზაინერი გავიდა I ადგილზე - უჩა ღვინიაშვილი და გიორგი დარჩიაშვილი, II ადგილი - გურამ ქაჯაიამ დაიკავა.

სპეციალურად შეჯიბრისთვის მომზადდა ბანერები, ბროშურები, ლოგოიანი აქსესუარები და გულსაბნევები. უზრუნველყოფილი იყო ღონისძიების ფოტო და ვიდეოგადაღება. ღონისძიება გაშუქდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, WorldSkills International-ის, ასევე სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე, დაიბეჭდა სტატია გაზეთში „ახალი განათლება", Worldskills Georgia-ს გუნდს „იმედის დილამ" უმასპინძლა.

მარტიდან ივნისის ჩათვლით, პერიოდულად იმართებოდა გუნდის შეხვედრები, სადაც ლაიპციგში გასამგზავრებლად საჭირო დეტალები განიხილებოდა და ზუსტდებოდა.

გამგზავრებამდე ექსპერტები, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, ავარჯიშებდნენ კონკურსანტებს. ვებდიზაინში საუკეთესოს გამოსავლენად გაიმართა განმეორებითი შეჯიბრი. ამჯერად უჩა ღვინიაშვილმა მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება.

ექსპერტი, შემდეგებაში, ლუკა ჭყონია საერთაშორისო შეჯიბრზე გამგზავრებამდე რამოდენიმე დღით ადრე გაბრიელ ვატიტაძემ ჩაანაცვლა.

„მე მიყვარს ჩემი პროფესია“

25 ივნისს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მოეწყო ღონისძიება სახელწოდებით „მე მიყვარს ჩემი პროფესია“. World-skills Georgia-ს გამარჯვებული გუნდის წევრებმა შეკრებილ საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია ლაიფციგში 2-7 ივლისს დაგეგმილი საერთაშორისო შეჯიბრის შესახებ, ქართული გუნდის მონაწილეობის მნიშვნელობაზე და სამომავლო გეგმებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა ისაუბრა პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელობაზე და მაღალი რანგის საერთაშორისო კონკურსში პირველად მონაწილე ქართულ გუნდს წარმატებები უსურვა.

ღონისძიებაზე მოეწყო საქართველოს 19 პროფესიული სასწავლებლის პროდუქციის გამოფენა. ექსპოზიციაზე მაქსიმალურად იყო წარმოდგენილი ის პროდუქცია, რომლის შექმნასა და მომზადებასაც ეუფლებიან სტუდენტები სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ელენე ჯიბლაძე, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ)-ის წარმომადგენლები, საჯარო სკოლების მოსწავლეები

WorldSkills Georgia-ს გუნდი ლაიფციგში გამგზავრა შემდეგი შემადგენლობით:

ოფიციალური დელეგატი	ტექნიკური დელეგატი	ექსპერტები	ეროვნულ კონკურსში გამარჯვებული მონაწილეები	გუნდის ლიდერი
მარინა ჟვანია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	უტა ბაიერი გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება საქართველოში (DWVG)	სერგო კარაკოზოვი (ვებდიზაინერი), როდამ ხიდეშელი (მზარეული), გაბრიელ ვატიტაძე (შემდუღებელი)	უჩა ღვინიაშვილი (ვებდიზაინერი), თინათინ იორდანიშვილი (მზარეული), ევგენი მოროზოვი (შემდუღებელი)	მაკა ბერაია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ტექნიკური დელეგატი და ექსპერტები ლაიფციგში 26 ივნისს გაემგზავრნენ. წინ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი, რასაც ზუსტად ერთი კვირა დასჭირდა.

გუნდის დანარჩენი წევრები - ოფიციალური დელეგატი, კონკურსანტები და გუნდის ლიდერი 29 ივნისს გაემგზავრნენ.

WorldSkills Georgia-ს გუნდის ყველა წევრს თავის მოვალეობები, საქმიანობის გრაფიკი და შეხვედრები და გამოყოფილი სამუშაო სივრცე ჰქონდა.

ოფიციალური დელეგატის მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ოფიციალური დელეგატი ქვეყნის წარმომადგენელია გენერალურ ასამბლეასა და სტრატეგიულ კომიტეტში.

იმ წელს, როდესაც კონკურსი არ ტარდება გენერალური ასამბლეა ტარდება რომელიმე წევრ ქვეყანაში. გენერალური ასამბლეა მოიცავს ასევე სტრატეგიული და ტექნიკური კომიტეტების (ოფიციალური და ტექნიკური დელეგატები) შეხვედრებს. გენერალური ასამბლეის დაწყებამდე, მიმდინარეობის და დასრულების შემდგომ ოფიციალური დელეგატი უნდა გაეცნოს შეხვედრის ოქმებს და თანმხლებ დოკუმენტებს, მონაწილეობა მიიღოს შეხვედრებსა და სამუშაო ჯგუფებში.

იმ წელს, როდესაც შეჯიბრი ტარდება ოფიციალური დელეგატი ვალდებულია ჩავიდეს შეჯიბრის ადგილზე გახსნითი ცერემონიის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე შეჯიბრის მონაწილეებთან და გუნდის ლიდერთან ერთად. შეჯიბრის დაწყებამდე ოფიციალური დელეგატი მონაწილეობს გენერალურ ასამბლეაში, სტრატეგიული კომიტეტისა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში; მონაწილეობს პროგრამაში - „ერთი ქვეყანა ერთი სკოლა"; ხელს უწყობს WorldSkills-ის ბრენდის ცნობადობის გაზრდას; ხელს უწყობს შეჯიბრის ჩატარებას WorldSkills-ის პრინციპების დაცვით; შეჯიბრის დასრულების შემდგომ ოფიციალური დელეგატი ტექნიკურ დელეგატთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას შეჯიბრის შედეგების შემოწმებასა და რატიფიცირებაზე გენერალური ასამბლეის სხდომაზე და იცავს კონფიდენციალობას დახურვის ცერემონიალამდე; აცნობს მედია საშუალებებს შედეგებს; განაგრძობს კომუნიკაციაციას შეჯიბრის ყოფილ მონაწილებთან; ეროვნულ დონეზე ხელს უწყობს WorldSkills-ის ცნობადობის გაზრდას;

ტექნიკური დელეგატის მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ტექნიკური დელეგატი ქვეყნის წარმომადგენელია გენერალურ ასამბლეასა და ტექნიკურ კომიტეტში;

იმ წელს, როდესაც შეჯიბრი ტარდება ტექნიკური დელეგატი ვალდებულია ჩავიდეს შეჯიბრის ადგილზე გახსნითი ცერემონიის დაწყებამდე ერთი კვირით ექსპერტებთან ერთად. შეჯიბრის დაწყებამდე ტექნიკური დელეგატი მონაწილეობს გენერალურ ასამბლეაში, ტექნიკური კომიტეტისა და შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში; ხელს უწყობს WorldSkills-ის ბრენდის ცნობადობის გაზრდას; კონკურსის ჩატარებას WorldSkills-

ის პრინციპების დაცვით; შეჯიბრის დასრულების შემდგ
ტექნიკური დელეგატი ოფიციალური დელეგატთან ერთ
იზიარებს პასუხისმგებლობას შეჯიბრის შედეგების შემოწმება
და რატიფიცირებაზე გენერალური ანსამბლეის სხდომაზე
იცავს კონფიდენციალობას დახურვის ცერემონიალამდე; ეროვნ
დონეზე ხელს უწყობს WorldSkills -ის ცნობადობის გაზრდას;

ექსპერტების მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

- ეროვნული შეჯიბრის გამოცხადებამდე შეჯიბრ
მონაწილეებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა
- კანდიდატების შერჩევის პროცესში აქტიური თანამშრომლობ
- შეჯიბრში მონაწილეებისათვის კონკურსის წესების და პირო
ბე ბის გაცნობა;
- ეროვნულ შეჯიბრში გამარჯვებულის Worldskills Internation
ის შეჯიბრისთვის მომზადება;
- Worldskills International-ის შეჯიბრის წესების და პირობების
გაცნობა;
- შეჯიბრის Test Project-ის (დავალების) შექმნაში მონაწილეობ
მიღება;
- ადგილზე შერჩეული დავალებების 30%-ნი მოდიფიკაციით
დანერგვა;
- შეჯიბრის ორგანიზებაში მონაწილეობა;
- დარგის ტექნიკური აღწერილობის გუნდურად განხილვა და
განახლება;
- ტექნიკური აღჭურვილობის გადამოწმება.

შეჯიბრში მონაწილეების მოვალეობები და პასუხისმგებლობებ

- პროფესიისთვის საჭირო აღჭურვილობისა და სამუშ
იარაღების სამუშაო ადგილზე უზრუნველყოფა;
- ტრენინგებზე დასწრება, რომელიც შეჯიბრის დაწყებამ
დაწყებამდე თითქმის ყოველდღე უტარდებათ და დავალებ
ყურადღებით მოსმენა;
- შეჯიბრზე დროულად გამოცხადება და წესების დაცვა.

გუნდის ლიდერი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

გუნდის ლიდერის მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

- გუნდის გაერთიანება და დადებითი განწყობის შექმნა;
- კონკურსამდე, კონკურსის მსვლელობისას და მისი დასრუ-
ლების შემდეგ გუნდის მხარდაჭერა და მორალურად გამხნევება;
- კონკურსის ორგანიზატორებსა და WorldSkills Internationa
თან შეჯიბრის მონაწილეების წარდგენა და მათი უფლებების დაც
- შეჯიბრის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს შორის მედი
ტორობა.
- შეჯიბრში მონაწილეების არატექნიკური პრობლემების მო-
გვა რება;
- შეჯიბრში მონაწილეების მედიის არასასურველი ყურად ღ
ბისგან დაცვა. მონაწილე მედიასთან გუნდის ლიდერის თანხლებ
ურთიერთობს;
- მასპინძელ ქვეყანაში გუნდის ჩასვლა, გამგზავრებასა და ქცე
ვაზე პასუხისმგებლობა;
- შეჯიბრის მსვლელობისას შეჯიბრის მონაწილეთა მონახულ
და საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა.

ლაიფციგში

2013 წელს WorldSkills-ის რიგით 42-ე საერთაშორისო შეჯიბრში 52 ქვეყანის 1127 ახალგაზრდა მონაწილეობდა. ახალგაზრდები ერთმანეთს ოთხი დღის განმავლობაში (2-7 ივლისი, მანამდე მოსამზადებელი პერიოდია, იმართება ტრენინგები) 46 პროფესიულ უნარში ეჯიბრებოდნენ.

ლაიფციგის უზარმაზარი საგამოფენო სივრცე სავსე იყო გულშემატკივრებითა და სტუმრებით. გახსნისა და დახურვის ცერემონიის ჩათვლით კონკურსს 200 ათასამდე ადამიანი დაესწრო, მათ შორის, მედიის 1000 აკრედიტებული წარმომადგენელი.





ღონისძიებები

- 28 ივნისს ექსპერტებისთვის მოეწყო ექსკურსიები ქალაქში და „ბეემვესა“ და „პორშეს“ ავტოქარხნებში;

- 1 ივლისს გუნდისთვის მოეწყო ექსკურსია ლაიფციგში და „ბელანტისის“ გასართობ პარკში;
- 2 ივლისს Worldskills International-ის პროგრამა One Sch One Country-ს ფარგლებში საქართველოს გუნდი ქალაქ შილდაუში, დაახლოებით 100-მოსწავლიან სკოლაში გაემგზავრა. One School One Country-ს გულისხმობს, რომ Worldskills-ის კონკურსში მონაწილე თითოეულ ქვეყნას თითო სკოლა „გულშემატკივრობს“ კონკურსის დღეებში. სკოლის მოსწავლეები მიდიან საგამოფენო დარბაზში და „თავიანთ“ ქვეყნებს გულშემატკივრობენ;

სკოლის მოსწავლეები გუნდს ოვაციებით და სიხარულით შეხვდენენ და სტუმრებისთვის კონცერტი გამართეს. გუნდის წევრები მოსწავლეებთან პროფესიული განათლების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრეს და თითიქმის მთელი დღე მათთან შემეცნებით თამაშში გაატარეს. ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტმა ქართველი კონკურსანტებისგან ინტერვიუ ჩაიწერა და შილდაუს ხის მცირე საწარმო დაათვალიერებინა;

↳ 2 ივლისის საღამოს საერთაშორისო შეჯიბრის გახსნ
გრანდიოზული ცერემონიალი გაიმართა;

↳ 3 ივლისს 9 საათზე შეჯიბრი დაიწყო! მონაწილეებმა პირველი დავალება მიიღეს. დავალება კონკრეტულ დროში უნდა შესრულებულიყო.

პირველი დღე მეტ-ნაკლებად სტრესული აღმოჩნდა ყველასთვის. საქართველო ასეთ გრანდიოზულ შეჯიბრში პირველად იღებდა მონაწილეობას და გამოცდილების დაგროვებას იწყებდა.

შეჯიბრი ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ყოველდღე ახალი დავალება გაიცემოდა. ქართველი ახალგაზრდები ბეჯითად ცდილობდნენ დავალების მაქსიმალური ყურადღებით და აკურატულად შესრულებას.

შეჯიბრის პარალელურად პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით საგამოფენო სივრცეში ეწყობოდა დამატებითი ღონის ებები.

ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელი აღმოჩნდა ვებდიზაინერი უჩა ღვინიაშვილი. წარმატებული ასპარეზობისთვის მან 2 მედალი დაიმსახურა. შეჯიბრის დახურვის გრანდიოზულ ცერემონიაზე მიიღო მედალი Best of Nations და დაჯილდოვდა წარმატების მედლით - Medallion of Excellence (დააგროვა 500-ზე მეტი ქულა და მოხვდა საუკეთესოთა ათეულში).

ლაიფციგში გამართულ WorldSkills International-ის გენერალური ასამბლეის სხდომაზე ორგანიზაციის პრეზიდენტმა საიმონ ბართლიმ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ორგანიზაციის (ასოცირებული) წევრობის დამდასტურებელი სერტიფიკატი გადასცა (ორგანიზაციას საქართველოსთან ერთად კიდევ 6 ახალი ასოცირებული წევრი შეემატა: 1. სომხეთი; 2. დომინიკის რესპუბლიკა; 3. ქუვეითი; 4. რუსეთი; 5. ტრინიდადი და ტობაგო და 6. ჩილე).

Worldskills International-ის ღონისძიებაში მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კონკურსში მონაწილეობამ WorldSkills Georgia-ს გუნდი დაარწმუნა, რომ WorldSkills International-ის წევრობა ნიშნავს:

- საკუთარი ქვეყნის პროფესიული უნარების შედარების შესაძლებლობას ყველაზე განვითარებულ ქვეყნებთან;

- საერთაშორისო დონეზე ქვეყნის პოპულარიზაციას და იმიჯის ამაღლებას;

- უდიდესი გამოცდილების მიღებას ექსპერტებისთვის - უცხოელ კოლეგებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, დავალებების შემუშავების და დისკუსიებში მონაწილეობთ ცოდნის გაღრმავებას;

- უდიდესი გამოცდილების მიღებას ახალგაზრდებისთვის, ტრენინგებმა და შეჯიბრში მონაწილებამ მათ მისცა საკუთარი თავის შეფასების, და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა, რაც მომავალ კარიერულ წინსვლაში შეუწყობს ხელს.

- პროფესიული სტანდარტების გადახედვისა და დახვეწის შესაძლებლობას WorldSkills-ის კონკურსზე გამოყენებული უახლესი მეთოდების გათვალისწინებით პროფესიულ საქმიანობაში ახალი კონტაქტების დამყარების და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას;

- დინამიკურ გლობალურ მულტიკულტურულ გარემოში ადაპტაციას;

- საერთაშორისო შეჯიბრზე მიღებული გამოცდილების გაზიარებით ახალგაზრდებისათვის Worldskills-ის პრესტიჟულ შეჯიბრში მონაწილეობის შეთავაზებას და მოტივაციის შექმნას/ ამაღლებას;

- სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას და სხვა და-სხვა პროფესიული უნარის განვითარების შესაძლებლობას;

- WorldSkills-ის გლობალურ პარტნიორებთან კავშირების დამყარებას და პოტენციური სპონსორების მოძიებას;



ზოგადი დაკვირვებები

- **მნიშვნლოვანია** ენთუზიაზმი, შინაგანი მოტივაცია, მონდომება და გულიანი დამოკიდებულება;

- **აუცილებელია** შეჯიბრში მონაწილეების მოსამზადებელი ტრენინგის მნიშვნელობის გააზრება;

- **მნიშვნლოვანია** ფოკუსირებული (მაღალი ხარისხი და სისწრაფე) ტრენინგების ორგანიზება;

- **მნიშვნელოვანია** კონკურსის წესების (ჩაცმულობა, ქცევა) კარგად გააზრება;

- **მნიშვნელოვანია ინგლისური ენის კარგად ფლობა**;

- **მოტივაციასა** და მონდომებასთან ერთად მნიშვნელოვანია უცხო გარემოში ადაპტაციის უნარის ქონა.

შემდეგი ნაბიჯები:

- **სტრატეგიის შემუშავება - როგორ უნდა მოემზადოს WORLD-SKILLS GEORGIA ეროვნული და შემდეგ 2015 წელს, სან-პაულუში დაგეგმილი საერთაშორისო შეჯიბრისთვის;**

- **2013 – 2015 წლების სამოქმედო გეგმის შედგენა;**

- **WORLDSKILLS GEORGIA-ს გუნდის თითოეული წევრის მოვალეობების გაწერა;**

- **ე.წ. „მორალური კონტრაქტის“ გაფორმება გუნდის ყველა წევრთან;**

- **შესასრულებელ სამუშაოზე ვადების მკაცრი კონტროლის დაწესება;**

- **სპონსორების მოძიება ეროვნული შეჯიბრის ორგანიზების და მომდევნო საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. (ლაიფციგში ყველა მონაწილეს თავისი სპონსორი კომპანია ჰყავდა, ეს აადვილებს ორგანიზებას და ზრდის ხარისხს);**

- **ეროვნული შეჯიბრის ჩატარების წესების შემუშავება;**

- **გამარჯვებულ კანდიდატთა შერჩევის მეთოდების შემუშავება - გასათვალისწინებელია ბევრი ფაქტორი, ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია პიროვნული თვისებები;**

- **მომდევნო შეჯიბრისთვის ისეთი პროფესიების შერჩევა, რომლებიც პოპულარულია და მეტ-ნაკლებად განვითარებულია საქართველოში, მაგრამ, ამავდროულად საჭიროებს განვითარებას და სარგებელს მიიღებს საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობიდან.**

დასკვნა

საქართველომ 2013 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა WORLDSKILLS-ის პროფესიული უნარების გრანდიოზულ შეჯიბრში. გამოცდილების არქონის გამო WORLDSKILLS GEORGIA-ს გუნდს გარკვეული ხარვეზები ჰქონდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოუცდელი გუნდი მცირე დაფინანსების მიუხედავად, მოკრძალებულად მაინც არ გამოიყურებოდა შეჯიბრზე!

საქართველომ შეძლო ვებდიზაინში საკმაოდ წონიანი ჯილდოს დამსახურება. ქართველი მონაწილე ძლიერი აღმოჩნდა და საუკეთესოთა ათეულში მოხვდა. ბრწყინვალების მედალი პირველი ასპარეზობისთვის შესანიშნავი შედეგია.

წარმატებული სტარტის, დიდი გამოცდილების მიღების და დაშვებული შეცდომების ანალიზის და შედეგების გათვალისწინებით WORLDSKILLS GEORGIA-ს აქვს საკმარისი ინფორმაცია და პოტენციალი, რომ დაგეგმოს, ვადებში გაწეროს და განახორციელოს პროექტი, რომლის წევრებიც წარმატებით იასპარეზებენ 2014 წელს ეროვნულ და 2015 წელს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში დაგეგმილ საერთაშორისო შეჯიბრზე.